

# საკანონმდებლო სიახლეების

## ცნობარი

(2019 წლის ივნისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2019 წლის ივნისის თვეში.

### საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №382 დადგენილება

2019 წლის 19 ივნისს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში „მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმებისას შერჩევითი კონტროლის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №382 დადგენილებაში შევიდა რამდენიმე ცვლილება და მათ შორის მას დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 მუხლი:

„მუხლი 4. სამშენებლო ობიექტებზე შრომის უსაფრთხოების ინტეგრირებული მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელების შესახებ

1. მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან, ასევე მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც შეიცავს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ასევე იმ ობიექტებზე, სადაც არ არის უზრუნველყოფილი სამშენებლო/ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები, შრომის ან/და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დარღვევების პრევენციის, მონიტორინგისა და მყისიერი რეაგირების მიზნით, ზედამხედველი ორგანო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო შეიმუშავენ და ახორციელებენ ერთობლივ, ინტეგრირებულ მონიტორინგის ღონისძიებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოები მონაწილეობენ მათი კომპეტენციის შესაბამისად.

3. ინტეგრირებული მონიტორინგის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული სამსახურების მონაწილეობით იქმნება ინტეგრირებული მონიტორინგისა და ინსპექტირების ჯგუფ(ებ)ი (შემდგომში – მონიტორინგის ჯგუფი).
4. საჭიროების გათვალისწინებით, მონიტორინგის ჯგუფის მუშაობაში შესაძლებელია, ჩართულ (მიწვეულ) იქნენ სხვა პირებიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. შრომის ან/და მშენებლობის/ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დარღვევების პრევენციის, მონიტორინგისა და მყისიერი რეაგირების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფი უზრუნველყოფს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან, ასევე მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც შეიცავს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, დასაქმებულთა შრომის პირობებისა და სამუშაო ადგილების შესაბამისობის შეფასებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან, მათ შორის, ობიექტის მშენებლობის/ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.
6. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული უწყებები ინტეგრირებული მონიტორინგის ღონისძიებებს შეიმუშავებენ და ატარებენ ურთიერთშეთანხმებული ფორმატით.
7. მონიტორინგის ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მოქმედებს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.“

დადგენილენა ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

### საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილება

2019 წლის 19 ივნისს „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებაში შევიდა რამდენიმე ცვლილება და მათ შორის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. დამსაქმებელი ვალდებულია, გამოყოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ობიექტზე სიმაღლეზე სამუშაოების განხორციელებისას დაიცავს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.“

დადგენილენა ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი

2019 წლის 28 ივნისს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება და მისი 13<sup>2</sup> პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13<sup>2</sup>. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა

1. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს, ხოლო თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, საქმის განხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვისა.

2. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ სასამართლო დავაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეებისთვის გადასაცემად.“.

2. მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. თუ დავის საგნის ღირებულება 500 000 ლარს აღემატება ან/და თუ საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამ დაწესებულების წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის დანიშვნა (გარდა საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე დავისა). ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება უფლებამოსილია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, იმავე საქმეზე წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭოს იმ სახელმწიფო მოსამსახურეს ან საჯარო მოსამსახურეს, რომელიც აღნიშნულ დაწესებულებაში მუშაობს.“.

გარდა ამისა კოდექსს დაემატა თავი VIII<sup>6</sup>. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასთან დაკავშირებით

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ამოქმედდება 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

## საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

2019 წლის 28 ივნისს ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლში და მისი მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. თუ დავის საგნის ღირებულება 500 000 ლარს აღემატება ან/და თუ საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება და სამოქალაქო პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება მონაწილეობს, იგი მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში ამ დაწესებულების წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის დანიშვნა (გარდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან ან/და საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავისა). ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება უფლებამოსილია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, იმავე საქმეზე წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭოს იმ საჯარო მოსამსახურეს, რომელიც აღნიშნულ დაწესებულებაში მუშაობს.“

ეს კანონი ამოქმედდება 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

## საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2019 წლის ივნისის თვეში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა საქართველო საგადასახადო კოდექსში.

### ცვლილებები N1

კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. ეკონომიკურ საქმიანობად განიხილება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მიზნით, მიუხედავად ამ საქმიანობის შედეგისა, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“;

26<sup>1</sup> მუხლის:

ა) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) უზრუნველყოს, რომ შენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში კონკრეტული ობიექტიდან (სასტუმროდან) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის/მისი ნაწილის სასტუმროდ ფუნქციონირებისთვის/ ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ დეკლარირებული (მათ შორის, საგადასახადო ორგანოს მიერ აღნიშნული ობიექტის მიხედვით შესაბამის პერიოდში დამატებით დარიცხული) დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა ჯამურად (გარდა დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციებისა) არ იყოს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდების შედეგად ამ კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ბრუნვაზე ნაკლები.“

გარდა აღნიშნულისა შეიცვალა კარი VI, დამატებული ღირებულების გადასახადი და ის ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

კანონი ამოქმედდება 2020 წლის 1 იანვრიდან.

## ცვლილებები N2

კოდექსის 1-ლი მუხლი პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის რეგულირების სფერო

ეს კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოს და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს და არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.“

მე-4 მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„8. საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, რომელიც აითვლება ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხის დაბრუნების უფლების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.“.

მე-8 მუხლის 23-ე ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„23. საგადასახადო დავალიანება – გადასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხას შორის სხვაობა.“

გარდა აღნიშნულისა, შეიცვალა მუხლი 23. საერთაშორისო კომპანია და ის ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ცვლილებების სრული რედაქციის ნახვა შეგიძლიათ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე შემდეგი სარეგისტრაციო ნომერტ № 4906-III.

## მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი

2019 წლის 25 ივნისს ცვლილება შევიდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და მის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებზე ამ კანონით დადგენილ წესებთან ერთად ვრცელდება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მოთხოვნები.“

ეს კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს კანონი, საქართველოს საბაჟო კოდექსი

2019 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი, საქართველოს საბაჟო კოდექსი. კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან დაკავშირებულ წესებსა და საბაჟო ფორმალობებს, საბაჟო დავის გადაწყვეტის წესს, საბაჟო სამართალდარღვევის სახეებს და ამ სამართალდარღვევების ჩადენისთვის პასუხისმგებლობას. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა შედგება საბაჟო ფორმალობებთან დაკავშირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან, ამ



კოდექსისგან და მის შესაბამისად მიღებული ან გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან.

ეს კოდექსი, გარდა ამ კოდექსის X წიგნისა, ამოქმედდება 2019 წლის 1 სექტემბრიდან.  
ამ კოდექსის X წიგნი ამოქმედდება 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

## შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №20722

2019 წლის 25 ივნისს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების დამდგენი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2547 განკარგულებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ბუნებრივი, საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების შემუშავების მიზნით, შეიქმნა დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისია.

დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისია (შემდგომში – კომისია) არის შემოსავლების სამსახურის სათათბირო ორგანო და მისი შექმნის მიზანია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის, ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების (შემდგომში – ტექნიკური ნორმები) შემუშავება. კომისია ტექნიკური ნორმების შემუშავებას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის ინიციატივით ან გადასახადის გადამხდელის განცხადების საფუძველზე.

ბრძანება ამოქმედდა ხელმოწერისთანავე.